ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურს

ქ.თბილისი 20 თებერვალი 2018 წელი

შპს "მეტალპრო"-ს, ს/ნ 406115387, დირექტორის
ირაკლი მერმანიშვილის
მდებარე: თბილისი, მოსკოვის გამზ. №31ა
და
შპს "მეტალინვესტი"-ს, ს/ნ 206244358, დირექტორის
მურთაზ უგულავას
მდებარე: თბილისი, მოსკოვის გამზ. №31, ტელ:577-53-60-60

ერთობლივი განცხადება

გაცნობებთ, რომ თბილისი, მოსკოვის გამზირი №29-ში მდებარეობს ავტოსერვისი. არსებული პროექტით ამ ავტოსერვისს შესასვლელი აქვს უშუალოდ მოსკოვის გამზირიდან და დაარსებიდან დღემდე სარგებლობს ამ შესასვლელით. ავტოსერვისის უკან, პარალერულ ჩიხში, რომლის ნუმერაციაცაა მოსკოვის გამზირი №31 და №31ა მდებარეობს ზემოდ აღნიშნული ჩვენი საწარმოები –შპს "მეტალპრო" და შპს "მეტალინვესტი". ჩვენს საწარმოებს, ავტოსერვისის უკან, მხოლოდ ამ ჩიხიდან გააჩნია შესავლელი და მათი დაფუძნების დროს გათვალისწინებული იყო. ის გარემოება, რომ, არსებული ვიწრო ჩიხის მოსარგებლე მხოლოდ ეს ორი საწარმო იქნებოდა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ხელს არ შეუშლიდა და არ გამოიწვევდა მათი ფუნქციონირების პარალიზებას.

ამჟამად, ამ ავტოსერვისმა არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ივლისის №3379840 ბრძანების შესაბამისად დაიწყო თავის საქმიან ეზოში დიდი მოცულობის შენობების მშენებლობა. ამავე დროს, მან გახსნა საქმიანი ეზოს სამხრეთი ღობე, რომელიც ებჯინება იმ ჩიხს (მოსკოვის გამზრი №31ა და №31) რომლითაც სარგებლობს მხოლოდ შპს "მეტალპრო" და შპს "მეტალინვესტი" და დაიწყო ამ მხრიდან ავტომანქანების შემოსასვლელი ფართო კარების მშენებლობა. როგორც ვთქვით, ამ მხრიდან შემოსავლელი კარების მშენებლობა პროექტით გათვალისწინებული არ არის და ამასთანავე მის მიერ გადაკვეთილია წითელი ხაზები. ამის გამო, მერიის ზედამხედველობის სამსახურმა დაიწყო ამ დარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ავტოსერვისი ცდილობს მის მიერ დაშვებულ დარღვევებს მისცეს კანონიერი სახე. ამიტომ, მისი განზრახვაა მიმართოს ქ. თბილისის მერიის სსიჯ – არქიტექტუირის სამსახურს იმისათვის, რომ ამ სამსახურის მიერ მოახდინოს მიწათსარგებლობის გეგმის კორექტირება და დაშვებული დარღვევების არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტთან მიმართებით კორექცია.

დაბეჯითებით **გთხოვთ**, გაითვალისწინოთ ყოველივე ჩვენს მიერ აღნიშნული და არ დაჰყვეთ ავტოსერვისის არაკეთილგონივრულ ნებას,– არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვეული ნორმების კანონშესაბამისად წარმოჩენასთან დაკავშირებით. ამასთანავე ვითხოვთ, საკითხის განხილვა მოხდეს ჩვენი აუცილებელი მონაწილეობით. ვიმეორებ, თუ აღნიშნულ უკანონო მშენებლობას თქვენი სამსახურის მეშვეობით კანონიერად წარმოაჩენს ავტოსერვისი და დაიწყება ამ ვიწრო ჩიხით ავტომანქანების ინტენსიური მოძრაობა, მაშინ საფრთხე შეექმნება "მეტალპრო"-ს და "მეტალინვესტი"-ს ფუნქციონირებას.

პატივისცემით,
შპს "მეტალპრო"-ს
დირექტორი: **ირაკლი მერმანიშვილი**

შპს "მეტალინვესტი"-ს
დირექტორი: **მურთაზ უგულავა**